

ფინანსური რისკების დაზღვევის ტენდეციები საქართველოში

ნელი კილასონია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე
სადაზღვევო საქმეში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა

სადაზღვევო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა

მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

წინაპირობა: სტატიის თემატიკას წარმოადგენს საქართველოში ფინანსური რისკების მართვის და დაზღვევის სისტემის განვითარების ტენდენციების კვლევა, მისი ძირითადი თავისებურებების გამოვლენა.

მეთოდოლოგია: დასმული ამოცანების გადასაჭრელად შესწავლილ იქნა მეორეული თეორიული მასალა, თუ რა არის რისკი, რა არის ფინანსური რისკი, მსოფლიო ფინანსური ინსტიტუტების სტანდარტები, სხვადასხვა ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები და პუბლიკაციები, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები, რასაც თან დაერთო პირველადი ინფორმაცია - ჩატარებული თვისებრივი კვლევა სადაზღვევო კომპანიებში, სადაც უშუალოდ პირველი პირებისგან შევიტყვეთ თუ რა ფინანსური რისკების დაზღვევის პროდუქტები მოქმედებს საქართველოში.

შედეგები: აღნიშნულის შესწავლამ საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა სურათი: თუ როგორ მართავენ კომპანიები თავიანთ ფინანსურ რისკებს საქართველოში და აზღვევენ თუ არა მას, რა სახის ფინანსურ რისკებს აზღვევენ ქართული სადაზღვევო კომპანიები, როგორია ფინანსური რისკების დაზღვევის დინამიკა და ა.შ.

დასკვნა: დაზღვევის სფეროს განვითარება პირველ რიგში დამოკიდებულია საზოგადოებაში დაზღვევის კულტურის ჩამოყალიბებაზე, ეკონომიკის სტაბილიზაციაზე, საზოგადოებაში დაზღვევისადმი ნდობის ზრდაზე. სწორედ ეს ფაქტორები არიან შემაფერხებელი დღესდღეობითაც.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფინანსები, რისკი, დაზღვევა.

Abstract

Precondition: The theme of article is financial risk management and Insurance system development trends in Georgia and formation of its key features.

Methodology: We have studied the theoretical secondary materials: Risk, Financial Risk, The standards for worlds financial institutions, articles and publications published in various journals, the results of the research conducted by governmental and non-governmental organizations. All of this was followed by the primary information, such as: qualitative researches carried out by insurance companies and we learned from the officials what kind of financial risk insurance products work in Georgia.

Results: This study allowed us to present how companies manage their financial risks in Georgia and if this risks are insured, what kind of financial risk are insured by Georgian insurance companies and what are the dynamics of financial risk insurance, etc.

Conclusion: The development of the insurance sector primarily depends on several issues such as: formation of insurance companies culture, stabilization of economy, if societies trust for insurance companies grows. These factors impede the development of insurance sector.

Key Words: Finance, Risk, Insurance.

მადლობა

ზემოაღნიშნული ნაშრომის მომზადების პროცესში მუდმივ კონსულტაციას მიწევდა, ნაშრომის ხელმძღვანელი ბატონი, თენგიზ ვერულავა. ის მუდმივად იყო საქმის კურსში, მაძლევდა შენიშვნებს, მიმართულებას, მითითებდა ლიტერატურას, ასევე დამეხმარა ექსპერტებთან დაკავშირებაში, მან უშუალოდ დაგეგმა ჩემი შეხვედრები მათთან. გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით მას და ასევე ყველა იმ ადამიანს ვინც ოდნავი წვლილი მაინც შეიტანა ჩემი მოკრძალებული ნაშრომის შექმნაში.